ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3381997

ნომერი: AR1492318

თარიღი : 03.04.2017

გაცემის თარიღი : 07.07.2017

გაცნობის თარიღი : 12.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 16 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე / ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ჭელიძე პ/ნ 01010013134
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 2 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 აპრილს AR1492318 განცხადებით მომართა მოქალაქე ნიკოლოზ ჭელიძემ, ზაზა ზანდუკელმა და ტარიელ დევნოზაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილების მიზნით;
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის

თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაიცა 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობები საცხოვრებელი უბნის დასაგეგმარებლად. ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებული საკადასტრო რუკისა (რეგისტრაციის ნომერი:16287/06) და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი:16287/2006, თარიღი:03.04.2006წ.) თანახმად მიწის ნაკვეთის ფართობი წარმოადგენდა 2800 კვ.მ.
ასევე, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 13 დეკემბრის #1031373 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში, კერძოდ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობითი პირობებიდან ამოღებული იქნა ყველა დათქმა განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით, ამასთან საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
დღევანდელი მდგომარეობით განხორციელებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილება. ვინაიდან, არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებში ხსენებული ცვლილების ასახვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.10.06.001.234 ფართობი 3028 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017402792, რეგისტრაციის თარიღი 19/05/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017436003, რეგისტრაციის თარიღი 25/05/2017წ.);
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება – შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე(დაზუსტებული ფართობი:83 კვ.მ. და 145 კვ.მ.), გამომდინარე აქედან შემდგომ ეტაპზე დაცული ან ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული ვალდებულება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 4 მაისის #ბ–79 ქალაქმშენებლობით პირობებთად ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.